ჯეოსელი

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N01/007

მობილური სატელეფონო მომსახურების მიწოდების შესახებ

ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღი: 03 იანვარი 2013 წელი

შპს "ჯეოსელი", საიდენტიფიკაციო კოდი: 203841940, იურიდიული მისამართი: თბილისი, გოთუას ქ. №3 (შემდგომში "ჯეოსელი") და აიიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, საიდენტიფიკაციო კოდი: 203851028, იურიდიული მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზ. N19 (შემდგომში "აბონენტი"), ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში "ხელშეკრულება") შემდეგზე:

1. **დეფინიციები:**

თუ „ხელშეკრულებით" სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ან მისი კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს „ხელშეკრულებაში" შემდეგ ტერმინებსა და გამოთქმებს ექნებათ შემდეგი მნიშვნელობები:

1.1. **„აბონენტი/მომხმარებელი"** – ფიზიკური პირ(ებ)ი, იურიდიული პირ(ებ)ი, სახელმწიფო ორგანო(ები), საჯარო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ი, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირ(ებ)ი ან/და სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნ(ებ)ი (რომლებიც წარმოადგენენ ბოლო მომხმარებელს და რომლებსაც ეკრძალებათ „მომსახურების" შემდგომი გადაყიდვა ან/და სხვაგვარად „მესამე პირებისათვის" მიწოდება), რომლის/რომელთა სახელი/სახელწოდება, საიდენტიფიკაციო მონაცემები და სხვა სახის ინფორმაცია მოცემულია „ხელშეკრულებაში".

1.2. **"ჯეოსელის აბონენტი"** - აბონენტი, რომელიც სარგებლობს „ჯეოსელის" გადახდის საავანსო ან/და საკრედიტო სისტემით.

1.3. **„ლაი ლაის აბონენტი"** - აბონენტი, რომელიც სარგებლობს „ჯეოსელის" წინასწარი გადახდის სისტემით.

1.4. **,,აბონენტის მონაცემები"** – პირადი ნომერი ან/და კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერი, სააბონენტო ნომერი ან/და ნებისმიერი სხვა „მომხმარებელთან" დაკავშირებული მონაცემი.

1.5. **„სააბონენტო გადასახადი"** – „ჯეოსელის" მიერ „მომსახურების" მიღების უფლებისათვის დაწესებული შესამაბისი ყოველთვიური გადასახადი.

1.6. **„პირი"** – ფიზიკური პირ(ებ)ი, იურიდიული პირ(ებ)ი, არარეზიდენტი პირები ან/და საქართველოს ან სხვა ქვეყნის „კანონმდებლობით" გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნ(ებ)ი.

1.7. **„მესამე პირი"** – ნებისმიერი პირი გარდა „აბონენტისა" ან/და „ჯეოსელისა".

1.8. **„მხარე/მხარეები"** – „აბონენტი" ან/და „ჯეოსელი", კონტექსტის შესაბამისად.

1.9. **„პერსონალური ინფორმაცია"** – ინფორმაცია აბონენტის ვინაობის (სახელი, გვარი, მისამართი, დაბადების თარიღი, პირადი ნომერი; ორგანიზაციის შემთხვევაში-ორგანიზაციის დასახელება, საიდენტიფიკაციო კოდი, იურიდიული მისამართი), ტექნიკური საშუალების განთავსების მისამართის, ტელეფონის ნომრის, მიღებული მომსახურებისა და გადახდის შესახებ, ასევე მომხმარებლის სხვა მონაცემები, რომელიც ახდენს მომხმარებლის იდენტიფიცირებას.

1.10. **„ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურება"** – „ჯეოსელის" მიერ მომხმარებლისათვის ადგილობრივი, საერთაშორისო, საქალაქთაშორისო, მობილური საკომუნიკაციო კავშირითა და ინტერნეტით მომსახურება, ასევე გაფართოებული ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურება;

1.11. **„გაფართოებული ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურება/დამატებითი სერვისი"** – „ჯეოსელის" მიერ მომხმარებლისათვის ძირითადი მომსახურების გარდა შეთავაზებული სხვა მომსახურება.

1.12. **„მომსახურება"** – „ხელშეკრულებით" ან/და მისი „დანართ(ებ)ით" (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განსაზღვრული ან/და „აბონენტის" მიერ „ჯეოსელისგან" მიღებული/მისაღები ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურება. ყოველგვარი გაუგებრობის გამოსარიცხად, „მომსახურება" ასევე მოიცავს იმ დამატებით/გაფართოებულ სერვისებს, რომელთა პირობებიც

მოცემულია ელექტრონული ფორმით „ჯეოსელის" ვებ გვერდზე - **www.geocell.ge** და/ან შეთანხმებულია მხარეებს შორის შესაბამისი დანართით.

1.13. **„მომსახურების ტარიფები"** ან/და **„სატარიფო გეგმა"** ან/და **„აქცია"** – კონკრეტული „მომსახურების" ტარიფები/გეგმა/აქცია (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს „მომსახურებ(ებ)ის" ღირებულებას/საფასურს, პირობებს და „მომსახურებაში" შემავალ სერვისებს). „სატარიფო გეგმის" დეტალური ჩამონათვალი/აღწერილობა, მათ შორის, მოცემულია/ხელმისაწვდომია „ჯეოსელის" მომსახურების ოფისებში, ვებ-გვერდზე **www.geocell.ge** და/ან ხელშეკრულების შესაბამის დანართში.

1.14. **„მომსახურების ღირებულება/საფასური"** - წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული „მომსახურების" ღირებულება, რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გულისხმობს და არ შემოიფარგლება იმ თანხებით, რომელიც „აბონენტმა" „ჯეოსელს" უნდა გადაუხადოს მიღებული/მისაღები „მომსახურებისათვის".

1.15. **„ბილინგის ინფორმაცია"** – აბონენტისთვის „ჯეოსელის" მიერ მიწოდებული მომსახურების ან „ჯეოსელის" ქსელის შესაბამისი ელემენტების დატვირთვის (ტრაფიკის) და მათი საოპერაციო რესურსების გარკვეულ პერიოდში გამოყენებული მოცულობის შესახებ მონაცემები, რომელსაც „ჯეოსელი" აწვდის აბონენტს ანგარიშსწორების ჩატარების მიზნით.

1.16. **"ანგარიში"** – მომსახურების მიმწოდებლის მიერ მომხმარებლისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფორმით მიწოდებული ანგარიში გასულ საანგარიშო თვეს/საანგარიშო პერიოდში, ასევე არასაანგარიშო პერიოდში მის და/ან სხვა მომსახურების მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების სახის (მათ შორის სააბონენტო გადასახდელი, წუთობრივი მომსახურების საფასური ან/და სხვა გაწეული მომსახურების) საფასურის, მისი გადახდის ვადისა და საბანკო ანგარიშის (ანგარიშების) მითითებით.

1.17. **"საანგარიშო პერიოდი"**- კალენდარული თვე.

1.18. **„არასაანგარიშო პერიოდი"**- ნებისმიერი პერიოდი გარდა „საანგარიშო პერიოდისა".

1.19. **„დეტალური ანგარიში"**-მიმდინარე საანგარიშო პერიოდის შესაბამისი მომსახურების სახე, ტარიფი, თარიღი, მომსახურების გაწევის დრო, დროის ხანგრძლივობა, გამავალი/შემომავალი ზარები.

1.20. **„ტექნიკური საშუალებები"** – „ჯეოსელის" მიერ „აბონენტისათვის" „მომსახურების" მისაღებად დროებით სარგებლობაში გადაცემული/გადასაცემი ან/და „აბონენტის" საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული „ტექნიკური საშუალებები", რომელიც გამოიყენება „მომსახურების" მისაღებად, მათ შორის, მობილური ტელეფონი, მობილური პლანშეტი, მობილური ინტერნეტის მოდემი და სხვ...

1.21. **„სიმ-ბარათი"** – „ხელშეკრულების" პირობების შესაბამისად „ჯეოსელის" მიერ „აბონენტისათვის" გადაცემული პერსონალური საიდენტიფიკაციო ბარათი, რომელზეც დაპროგრამებულია/გაწერილია „ნომერი", რომელიც უზრუნველყოფს „აბონენტის" „ტექნიკური საშუალების" კავშირს „ჯეოსელის" ქსელთან და რომელიც გამოიყენება „აბონენტის" მიერ „მომსახურების" მისაღებად.

1.22. **„კანონმდებლობა"** – საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში მოქცეული საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.

1.23. **„რეგლამენტი"** – ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტი (საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილება #3, 17.03.2006).

1.24. **„კომისია"** – საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია.

1.25. **„სამუშაო დღე"** – დღე, შაბათის, კვირის ან „კანონმდებლობით" განსაზღვრული ოფიციალური უქმე დღეების გარდა.

1.26. **„დანართი"/"დანართები"** – თუკი ცალსახად სხვაგვარად არ იქნა გათვალისწინებული „ხელშეკრულებით", წინამდებარე „ხელშეკრულების" დანართ(ებ)ი (მათ შორის, „მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ი", მომსახურებაში ცვლილების შეტანის ფორმები, მომსახურების აქტივაციის/დეაქტივაციის ფორმები და სხვა მსგავსი ამგვარის არსებობის შემთხვევაში), რომელიც/რომლებიც წარმოადგენს

„ხელშეკრულების" განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

1.27. **„აქცია"** – „ჯეოსელის" მიერ შესაბამისი „მომსახურებების ღირებულების" ან/და „მომსახურების"პირობების/მახასიათებლების დროებითი ცვლილება ამგვარი „აქცი(ებ)ის" ფარგლებში და/ან ვადით.

1.28. **„აქციით სარგებლობის/აქტივაციის საფასური"** - „ჯეოსელის" მიერ „აქციით" სარგებლობისათვის/აქტივაციისათვის დაწესებული ერთჯერადი ან/და ყოველდღიური, ყოველკვირეული, ყოველთვიური საფასური (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც „აბონენტს" ჩამოეჭრება „ნომრის" ანგარიშიდან „აქციის" გააქტიურებისთანავე ან/და „აქციით" დადგენილ ვადებში. „აქციით სარგებლობის/აქტივაციის საფასურის" ჩამოჭრა არ არის დამოკიდებული: ა)"აბონენტის" უფლებაზე ვადაზე ადრე შეწყვიტოს „აქციით" სარგებლობა; ბ) „აბონენტის" უფლებაზე ფაქტობრივად ისარგებლოს „აქციით".

1.29. **„დაუშვებელი პროდუქცია"** – ელექტრონული კომუნიკაციების მეშვეობით გადაცემული პორნოგრაფია, სიძულვილისა და ძალადობის განსაკუთრებით მძიმე ფორმების ამსახველი, პირადი ცხოვრების შემლახველი, ცილისმწამებლური, შეურაცმყოფელი, უდანაშაულობის პრეზუმფციის დამრღვევი, უზუსტო, საავტორო უფლებებისა და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით გადაცემული სხვა პროდუქცია.

1.30. **„პირგასამტეხლო"** (ჯარიმა) – შესაბამისი „მხარის" მიერ „ხელშეკრულებით" ან/და მისი „დანართებით" (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ნაკისრი ფინანსური ან/და სხვა ვალდებულებების (მათ შორის დადგენილ დროში) შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის გადასახდელი თანხა, რომლის ოდენობა და გადახდის პირობები განისაზღვრება „ხელშეკრულებით".

1.31. **„სადემარკაციო წერტილი"** - წერტილი, სადაც ხდება „ჯეოსელის" და „აბონენტის" პასუხისმგებლობის გამიჯვნა. „აბონენტი" პასუხისმგებელია მის მიერ გამოწვეულ ნებისმიერ დაზიანებაზე, რომელიც წარმომობილია „აბონენტის" მფლობელობაში/საკუთრებაში არსებული „ტექნიკური საშუალების" გაუმართაობით.

1.32. **„ტრაფიკი"** - ოპერატორის ქსელის ელემენტებისა და ტექნიკური საშუალებების ჯამური დატვირთვა დროის ინტერვალში.

1.33. **"ინფორმაცია ტრაფიკის შესახებ"** – მონაცემები, რომლებიც მუშავდება ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელში ელექტრონული გზავნილის გასაგზავნად ან ამგვარი გზავნილის ინვოისის საშუალებით გასაგზავნად (ისინი ეხება ვადებს, მასშტაბებს, გამოყენებულ ქსელებსა და ტექნიკურ მონაცემებს).

1.34. **„უსაფრთხოების კოდები"**- "მომხმარებლის" სახელი, პაროლი, PIN/PUK კოდები და სხვ.

1.35. **„ფროდი"** – „მომსახურებისთვის" დაწესებული „მომსახურების ღირებულების" გადახდისაგან თავის არიდების გზით „მომსახურების" უსასყიდლოდ ან/და შემცირებულ ფასად ან/და „ხელშეკრულების" (მისი დანართების) პირობების დარღვევით მიღება.

1.36. **„ნომერი/ნომრები"** – „ჯეოსელის" მფლობელობაში არსებული თავისუფალი ნუმერაციის რესურსიდან „ხელშეკრულების" საფუძველზე და მისი მოქმედების ვადით „აბონენტისათვის" გადაცემული და „აბონენტის" მიერ არჩეული კონკრეტული სატელეფონო ნომერი/ნომრები ან/და აბონენტის მფლობელობაში არსებული ნომრები (პორტირებული აბონენტის ან/და სხვა შემთხვევაში).

2. **„ხელშეკრულების" საგანი**

2.1. "ხელშეკრულების" პირობების შესაბამისად, "ჯეოსელი" გადასცემს "აბონენტს" „სიმ-ბარათს" მასზე დაპროგრამებული „ნომრით" და უზრუნველყოფს მის ჩართვას "ჯეოსელის" მობილურ სატელეფონო ქსელში „მომსახურების" მისაღებად, ხოლო "აბონენტი" წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე ვალდებულია გადაიხადოს გაწეული „მომსახურების" საფასური და უფლებამოსილია ისარგებლოს შესაბამისი „მომსახურებით"; CPV 64200000

2.2. "აბონენტი" ირჩევს მისთვის სასურველ „აქციას", „მომსახურების ტარიფს" ან/და "სატარიფო გეგმას", აგრეთვე ანგარიშსწორების და გადახდის მეთოდს, რომლებიც გააქტიურდება "ნომრის" აქტივაციის დროს;

2.3. „ჯეოსელის აბონენტისათვის" "ნომრის" საწყისი აქტივაცია მოხდება „მხარეების" მიერ წინამდებარე "ხელშეკრულების" ხელმოწერიდან არაუგვიანეს სამი (3) სამუშაო საათისა;

2.4. „ლაი ლაის აბონეტისათვის" „ნომრის" საწყისი აქტივაცია განხორციელდება „ნომრის" ანგარიშზე „აბონენტის" მიერ მინიმალური საავანსო თანხის შეტანისას ან/და „აქციით" განსაზღვრული პირობების შესრულებისთანავე; (მათ შორის, „ჯეოსელის" მიერ „აქციით" განსაზღვრული სპეციალური სიმბოლოებისაგან და/ან ციფრებისგან შემდგარი კოდის აკრეფისთანავე).

2.5. სტანდარტული ტარიფები: ჯეოსელის/ლაი ლაის ნომრიდან განხორციელებულ სატელეფონო ზარზე ნებისმიერი სხვა ადგილობრივი ქსელის მიმართულებით - წუთში 0.24 ლარი, მობილური ინტერნეტის 1 მეგაბაიტი - 0.7 ლარი; ერთი sms-გაგზავნა საქართველოში 0.06 ლარი. ხსენებული ტარიფები მოცემულია გადასახადების ჩათვლით;

2.6. მხარეთა შეთანხმებით, შესაძლებელია „დანართ(ებ)ის" გაფორმების გზით, დეტალურად/ინდივიდუალურად გაიწეროს „მომსახურების" გაწევის პირობები.

3. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები:

3.1. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად „ჯეოსელი" ვალდებულია ჩართოს "აბონენტი" "ჯეოსელის" მობილურ სატელეფონო ქსელში და უზრუნველყოს აღნიშნული მობილური სატელეფონო ქსელით „მომსახურება" ქსელის დაფარვის ზონის მოქმედების ტერიტორიაზე. ინფორმაცია "ჯეოსელის" მობილური ქსელის დაფარვის შესახებ ხელმისაწვდომია და პერიოდულად განახლდება "ჯეოსელის" ვებ-გვერდზე www.geocell.ge;

3.2. „აბონენტი", თავის მხრივ, ვალდებულია აირჩიოს მისთვის სასურველი „მომსახურების სატარიფო გეგმა" ან/და „აქცია" (პაკეტი) „ხელშეკრულების" პირობების შესაბამისად;

3.3. „ჯეოსელი" უზრუნველყოფს "აბონენტისათვის" ხარისხიანი „მომსახურების" მიწოდებას. ასევე უზრუნველყოფს შეთავაზებული "მომსახურების" ადეკვატურობას მიღებულთან, წინააღმდეგ შემთხვევაში ვალდებულია მიიღოს შესაბამისი ზომები შეუსაბამობის დროული, ჯეროვანი და სრული აღკვეთის მიზნით;

3.4. „აბონენტი" ვალდებულია გადაიხადოს „მომსახურების საფასური" "ჯეოსელის" აბონენტთა მომსახურების ცენტრების სალაროში თანხის შეტანით, ასევე ბარათის მეშვეობით ("სქრეჩ ბარათები"), ან/და გადახდის სხვა ალტერნატიული საშუალებით;

3.5. „აბონენტი" ვალდებულია უზრუნველყოს „ნომრის" ანგარიშის შევსება მინიმუმ ერთი ლარით, ხოლო შემდგომი შევსებისას ერთი ლარის ჯერადი თანხით; (მხოლოდ „ლაი ლაის აბონენტის" ვალდებულება)

3.6. „აბონენტი" ვალდებულია უზრუნველყოს სტანდარტული პირობებით გააქტიურებული ნომრის ანგარიშზე პირველადი მინიმალური თანხის ხუთი (5) ლარის შეტანა. ყველა სხვა შემთხვევაში "ნომრის" ანგარიშის/ბალანსის შევსება შესაძლებელია ნებისმიერი თანხის ოდენობით, რაც დამოკიდებულია გადახდის საშუალებაზე. "მომსახურების" შეზღუდვის მოხსნისათვის "ნომრის" ანგარიშის ბალანსზე საჭიროა იყოს მინიმუმ ხუთი (5) ლარი (მხოლოდ „ჯეოსელის აბონენტის" ვალდებულება);

3.7. „ჯეოსელი" უფლებამოსილია განსაზღვროს "მომსახურების" კონკრეტული სახეობის მოხმარების წესები და პირობები, რომელიც შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. ასევე, თავად განსაზღვროს „რეგლამენტით" განსაზღვრული შეტყობინების ფორმებიდან ერთ-ერთი ან/და რამდენიმე, რომელიც გამოყენებული იქნება აბონენტის ეფექტური ინფორმირებისათვის;

3.8. „ჯეოსელი" ვალდებულია მოკლე ტექსტური შეტყობინების ან სხვა საკომუნიკაციო საშუალებებით პერიოდულად აცნობოს "აბონენტს" "მომსახურებასთან" დაკავშირებული სიახლეების/აქტივობების შესახებ;

3.9. იმ შემთხვევაში, თუ აბონენტი ახორციელებს კომერციული ხასიათის მასიურ გზავნილებს/შეტყობინებებს, ეს უკანასკნელი ვალდებულია აღნიშნულის შესახებ გააფორმოს ხელშეკრულება „ჯეოსელთან";

3.10. „აბონენტი" ვალდებულია "ჯეოსელის" მიერ გაწეული "მომსახურება" გამოიყენოს მხოლოდ საკუთარი მოხმარებისთვის, მიზნად არ დაისახოს მისი შემდგომში მიყიდვა „მესამე პირებზე" და მიიღოს "მომსახურება" იმ მოცულობითა და პირობებით, როგორც ეს განსაზღვრულია და ნებადართულია წინამდებარე "ხელშეკრულებით" და მოქმედი კანონმდებლობით;

3.11. „აბონენტი" ვალდებულია "მომსახურებასთან" დაკავშირებული „უსაფრთხოების კოდები" (PIN/PUK), პაროლები და სიმ-ბარათ(ებ)ი შეინახოს უსაფრთხო ადგილას, რათა არ მოხდეს „მესამე პირთა" მიერ „მომსახურებით" სარგებლობა. გარდა ამისა, „მომხმარებელს" არა აქვს უფლება მოახდინოს სიმ-ბარათების მეშვეობით რაიმე სახის მანიპულირება;

3.12. „აბონენტი" ვალდებულია უმოკლეს გონივრულ ვადაში შეატყობინოს (შეტყობინება უნდა განხორციელდეს „ჯეოსელის" აბონენტთა მომსახურების ცენტრში ან/და საამისოდ უფლებამოსილ პირთან) "ჯეოსელს" დაზიანების, მომსახურების შეფერხების ან/და „სიმ-ბარათის" დაკარგვის შესახებ. "ჯეოსელისათვის" ამ ინფორმაციის მიწოდებამდე "აბონენტის" "ნომრიდან" განხორციელებულ ნებისმიერ ზარზე ან/და „მომსახურებაზე" პასუხისმგებელია და გადახდას აწარმოებს "აბონენტი";

3.13. „აბონენტი" უზრუნველყოფს რომ არ დაუშვას მიწოდებული „მომსახურების" ჩართვა საერთაშორისო ან სხვა ფასიანი ტრაფიკის გატარების ან ტერმინაციის სქემაში ან/და "ფროდის" მიზნით განხორციელებულ მოქმედებებსა და სქემებში;

3.14. „აბონენტი" ვალდებულია დაიცვას „ჯეოსელის" ქსელთან მიერთებული ნებისმიერი საკუთარი ან/და „ჯეოსელის" მიერ დროებით სარგებლობაში გადაცემული „ტექნიკური საშუალება" ნებისმიერი უნებართვო შეღწევისა და გამოყენებისაგან. „აბონენტი" უპირობოდ აღიარებს აღნიშნული ქმედებების შედეგად „ჯეოსელის" მიმართ წარმოქმნილ ნებისმირი სახის დავალიანებას;

3.15. „აბონენტი" უზრუნველყოფს, რომ „მომსახურებით" სარგებლობა:

3.15.1. არ აყენებს ზიანს „ჯეოსელს" ან ნებისმიერ „მესამე პირს";

3.15.2. არ იწვევს „ჯეოსელის" ქსელის ან "მომსახურების" მოშლას/ხელშეშლას, მათ შორის, ადრესატებისთვის არასასურველი ზარების/გზავნილების მასიური განხორციელებით, ე.წ. "სპამის", მონაცემთა ვირუსების მასიური დისტრიბუციით და სხვ...

3.15.3. არ გამოიყენება კომერციული ან მსგავსი მიზნებით, მათ შორის, სარეკლამო გზავნილები/ზარები, გამანაწილებელი პუნქტი, შიდა-კავშირის მოწყობილობა, SIM Boxing ან სხვა მსგავსი საოპერატორო აქტივობები;

3.15.4. არ არღვევს "ჯეოსელის" ან რომელიმე "მესამე პირის" საავტორო, მომიჯნავე ან სხვა ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს;

3.15.5. არ ეწინააღმდეგება რომელიმე სამართლებრივ აქტს, კანონს ან სხვა საკანონმდებლო აქტს.

3.16. თუ "აბონენტის" მიერ 3.15 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო „ჯეოსელს" მიადგა რაიმე სახის ზიანი, ეს უკანასკნელი უფლებამოსილია მიიღოს ზომები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3.17. „აბონენტი" ვალდებულია დაეთანხმოს (შემდგომი დამატებითი აქცეპტის ან/და თანხმობის გარეშე) „ჯეოსელის" მიერ მისთვის („აბონენტისათვის") გამოყოფილი ნუმერაციის რესურსის ცვლილებას, თუკი ამგვარი ცვლილება გამოწვეულია/განპირობებულია „კომისიის" ან/და სხვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გამოცემული შესაბამისი ნორმატიული აქტით;

3.18. "აბონენტი" უფლებამოსილია "მომსახურების" გათიშვის შემდეგ „ხელშეკრულებით" დადგენილი პირობების შესაბამისად მოსთხოვოს "ჯეოსელს" „ნომრის" ანგარიშზე არსებული საავანსო თანხის უკან დაბრუნება.

3.19. "აბონენტი" უფლებამოსილია როუმინგული მომსახურების გათიშვის შემდეგ „ხელშეკრულებით" დადგენილი წესის შესაბამისად მოსთხოვოს „ჯეოსელს" „ნომრის" ანგარიშზე არსებული თანხის უკან დაბრუნება.

3.20. „ჯეოსელი" ვალდებულია "აბონენტის" მოთხოვნით, როუმინგული მომსახურების გათიშვიდან 30 (ოცდაათი) დღეში, დაუბრუნოს მას როუმინგული მომსახურების დეპოზიტი "აბონენტის" ანგარიშზე რიცხული დავალიანების სრულად დაფარვის შემთხვევაში;

3.21. „ჯეოსელი" ვალდებულია „რეგლამენტით" და „ხელშეკრულებით" განსაზღვრული პირობების შესაბამისად შეატყობინოს აბონენტს „მომსახურების" წესების, პირობების და იმ ტარიფების ცვლილებები, რომლითაც სარგებლობს "აბონენტი".

4. „მომსახურების" შეზღუდვისა და შეწყვეტის პირობები.

4.1. „აბონენტი" უფლებამოსილია მოითხოვოს "მომსახურების" შეწყვეტა, ხოლო „ჯეოსელი", თავის მხრივ, ვალდებულია შეუწყვიტოს "აბონენტს" „მომსახურება" ამ უკანასკნელის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

4.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ „აბონენტი" წერილობით მიმართავს „ჯეოსელს" ხელშეკრულების ვადის გაგრძელების თხოვნით, წინააღმდეგ შემთხვევაში ხელშეკრულება ავტომატურად წყდება.

4.3. „ხელშეკრულებითა" და „რეგლამენტით" გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით „ჯეოსელი" უფლებამოსილია:

4.3.1. შეუწყვიტოს "აბონენტს" "მომსახურება" „ხელშეკრულებითა" და „რეგლამენტით" გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით, თუ „აბონენტი" დაარღვევს წინამდებარე "ხელშეკრულებით" დათქმულ რომელიმე ვალდებულებას;

4.3.2. შეუწყვიტოს "აბონენტს" "მომსახურება", თუ იგი "ჯეოსელის" გაფრთხილების მიუხედავად იმგვარად იყენებს „მომსახურებას", რომ ირღვევა "ხელშეკრულებით" დათქმული პირობები ან/და ეს ქმედება ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას;

4.3.3. მასსა და სხვა ოპერატორს შორის შესაბამისი ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში, „აბონენტის" მიერ მიღებული ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების საფასურის გადახდა მოსთხოვოს „აბონენტს" და გადაუხდელობის შემთხვევაში „ხელშეკრულების" ან/და „რეგლამენტის" შესაბამისად განახორციელოს „მომსახურების" შეზღუდვა ან/და შეწყვეტა;

4.3.4. დაუყოვნებლივ შეუზღუდოს "აბონენტს" "მომსახურება", თუ გააჩნია საფუძვლიანი ეჭვი რომ „აბონენტისათვის" მიწოდებული „მომსახურება" გამოყენებულია „ფროდის" მიზნით ან/და დაკავშირებულია „ფროდთან";

4.3.5. შეუზღუდოს/შეუწყვიტოს „აბონენტს" „მომსახურება" თუ ამ უკანასკნელის მიერ ხორციელდება კომერციული ხასიათის მასიური გზავნილები/შეტყობინებები, არსებული შეზღუდვის/შეწყვეტის გაუქმება მოხდება მხარეებს შორის წინამდებარე ხელშეკრულების 3.9 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების დადებიდან 3 (სამი) საათის განმავლობაში;

4.3.6. შეზღუდოს "ნომერზე" გამავალი ზარი საავანსო თანხის ან/და კრედიტის (ლიმიტის) ან/და წინასწარ გადახდილი თანხის ამოწურვის შემთხვევაში. საავანსო, საკრედიტო და წინასწარი გადახდის სისტემის აბონენტის "ნომერზე" დაუშვას უარყოფითი ბალანსი;

4.3.7. „ჯეოსელის აბონენტის" "ნომერზე" შეზღუდოს გამავალი ზარი ოცდაათი (30) დღის ვადით, თუ "ნომერზე" ამოიწურა ბალანსი. აღნიშნული ოცდაათდღიანი პერიოდის განმავლობაში აბონენტს შეეძლება მხოლოდ შემომავალი ზარების მიღება და "ჯეოსელის" გარკვეული უფასო სერვისებით, აგრეთვე საგანგებო ნომრებით სარგებლობა, ხოლო აღნიშნული ოცდაათდღიანი პერიოდის გასვლის შემდგომ "ნომერზე" „მომსახურება" შეიზღუდება ორმხრივად, „მომსახურების" ორმხრივად შეზღუდვა არ გულისხმობს საგანგებო ნომრებით სარგებლობის შეზღუდვას;

4.3.8. თუ "ჯეოსელის აბონენტი" ხუთი (5) თვის განმავლობაში უწყვეტად არ სარგებლობს "ჯეოსელის" ფასიანი სერვისებით ან შემომავალი ზარით, ცალმხრივად შეწყვიტოს

"ხელშეკრულება" მეექვსე თვის განმავლობაში და თავისი შეხედულებისამებრ განკარგოს "ნომერი";

4.3.9. "ლაი ლაის აბონენტის" მიერ "ნომერზე" თანხის ბოლო ჩატვირთვიდან ოთხმოცდაათი (90) დღის განმავლობაში მისცეს "აბონენტს" შესაძლებლობა განახორციელოს/მიიღოს ზარები და ისარგებლოს ყველა გააქტიურებული სერვისით "საბონენტო ნომერზე" ასეთი სერვისით სარგებლობისათვის საკმარისი თანხის არსებობის შემთხვევაში, ხოლო თანხის ამოწურვისას "ნომერი" გათიშოს ცალმხრივად, რა დროსაც "ლაი ლაის აბონენტი" შეძლებს მიიღოს მხოლოდ შემომავალი ზარები და ისარგებლოს "ჯეოსელის" უფასო სერვისებით და/ან საგანგებო ნომრებით;

4.3.10. "ლაი ლაის აბონენტის" მიერ "ნომერზე" თანხის ბოლო ჩატვირთვის ოთხმოცდამეთერთმეტე (91) დღიდან ოცდაათი (30) დღის განმავლობაში (ანგარიშზე თანხის არსებობის მიუხედავად) "ნომერი" გათიშოს ცალმხრივად; (ანუ "აბონენტს" შეეძლება მხოლოდ შემომავალი ზარების მიღება და "ჯეოსელის" გარკვეული უფასო სერვისებით და/ან საგანგებო ნომრებით სარგებლობა)

4.3.11. თუ "ლაი ლაის აბონენტი" "ნომერზე" თანხის ბოლო ჩატვირთვიდან ასოცი (120) დღის განმავლობაში არ მოახდენს "ნომრის" ანგარიშის შევსებას, ასოცდამეერთე (121) დღეს "ნომერი" გათიშოს ორმხრივად; ("ლაი ლაის აბონენტს" მომდევნო ოცდაათი (30) დღის განმავლობაში შესაძლებლობა ექნება "ნომრის" ანგარიშზე დადგენილი წესის დაცვით ჩატვირთოს ნებისმიერი ოდენობის თანხა და ორმხრივად გააქტიუროს "ნომერი")

4.3.12. „ლაი ლაის აბონენტის" როუმინგში ყოფნისას "ნომრის" ანგარიშზე თანხის არ არსებობის დროს წინასწარი გადახდის სისტემის სპეციფიკიდან გამომდინარე შეზღუდოს შემომავალი ზარების მიღება;

4.3.13. ასორმოცდამეთერთმეტე (151) დღიდან, ავტომატურად გააუქმოს "ხელშეკრულება", თუ „ლაი ლაის აბონენტი" თანხის ბოლო ჩატვირთვიდან ასორმოცდაათი (150) დღის განმავლობაში არ ჩატვირთავს თანხას „ნომრის" ანგარიშზე. ამასთან, „ჯეოსელი" ვალდებულია "აბონენტის" წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში, დაუბრუნოს აბონენტს "ნომერზე" არსებული გაუხარჯავი თანხა. „ჯეოსელი" უფლებამოსილია გაუხარჯავ თანხას გამოაკლოს ის ხარჯები, რაც დაკავშირებული იქნება აბონენტისათვის თანხის დაბრუნებასთან.

4.3.14. „ჯეოსელის" აბონენტის" ნომრის შეზღუდვის შემთხვევაში კრედიტის (ლიმიტის) თანხის სრულად დაფარვის ან/და საავანსო თანხის სრულად გადახდის (ყოველგვარი გაუგებრობის გამოსარიცხად, „აბონენტი" ვალდებულია გადაიხადოს საავანსო თანხა იმ ოდენობით, რომ „ნომრის" ანგარიში გადავიდეს დადებით ბალანსში და შეადგენდეს მინიმუმ 5 ლარს) შემთხვევაში, „ნომერზე" არსებული შეზღუდვის გაუქმება ხდება გადახდიდან 3 (სამი) საათის განმავლობაში;

5. ინფორმაცია „აბონენტის" შესახებ

5.1. „მომსახურებით" სარგებლობისათვის აბონენტი აწოდებს „ჯეოსელს" ზუსტ პერსონალურ ინფორმაციას. ასევე ვალდებულია მოითხოვოს სრულყოფილად შევსებული ხელშეკრულება, გადაამოწმოს მონაცემთა სისწორე და დაადასტუროს წინამდებარე „ხელშეკრულებაზე" თავისი ხელმოწერით, ასევე შეინახოს"ხელშეკრულების" მისი კუთვნილი პირი;

5.2. „ჯეოსელი" უზრუნველყოფს „აბონენტის "პერსონალური ინფორმაციის" კონფიდენციალობას გარდა კანონმდებლობით ან/და ამ „ხელშეკრულებით" განსაზღვრული შემთხვევებისა ან/და როდესაც „აბონენტის" დავალიანების გადახდა ხორციელდება „მესამე პირთა" მიერ ან/და როდესაც ხორციელდება „აბონენტის" პერსონალური ინფორმაციის „ჯეოსელი" მონაცემთა ბაზაში შეტანა, რაზეც „აბონენტი" აცხადებს სრულ და გამოუთხოვად თანხმობას;

5.3. „აბონენტი" ვალდებულია "ხელშეკრულებაში" აღნიშნულ პერსონალურ ინფორმაციაში რაიმე ცვლილების შემთხვევაში დადგენილი წესით წერილობით აცნობოს "ჯეოსელს" ასეთი ცვლილებიდან შვიდი (7) კალენდარული დღის ვადაში;

5.4. ,,ჯეოსელის" მოთხოვნით, ,,აბონენტი" ვალდებულია მიაწოდოს მას ,,მომსახურების" უზრუნველსაყოფად საჭირო მონაცემები. "აბონენტმა" დროულად უნდა აცნობოს "ჯეოსელს" ასეთ მონაცემებში რაიმე ცვლილების შესახებ;

5.5. "მომსახურებით" სარგებლობისთვის ,,ჯეოსელი" "აბონენტს" გამოუყოფს სააბონენტო ნომერს, პაროლსა და/ან სხვა კოდებს ("საიდენტიფიკაციო მონაცემები"). ,,ჯეოსელმა" შესაძლებელია შეცვალოს "საიდენტიფიკაციო მონაცემები" ტექნიკური, საოპერაციო ან სხვა მიზნებისათვის ან სახელმწიფო სტრუქტურების მიერ გამოცემული რეგულაციებისა თუ გადაწყვეტილებების გამო. ამგვარი ცვლილებების შესახებ ,,აბონენტი" ინფორმირებული იქნება დადგენილ ვადებში. ,,აბონენტს" არა აქვს ,,საიდენტიფიკაციო მონაცემებზე" რაიმე სახის უფლება ,,ხელშეკრულების" შეწყვეტის შემდეგ, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი;

5.6. ,,ჯეოსელი" ამუშავებს „აბონენტის" მონაცემებსა და ტრაფიკის შესახებ ინფორმაციას, რათა სათანადოდ განახორციელოს ,,მომსახურება", შეასრულოს საკუთარი სამართლებრივი ვალდებულებები მონაცემთა შენახვის კუთხით და განახორციელოს ,,ჯეოსელის" პროდუქტებისა და მომსახურებების მარკეტინგი. ,,აბონენტი" აცხადებს თანხმობას "ჯეოსელის" მიერ ,,აბონენტის მონაცემებისა" და "ტრაფიკის შესახებ ინფორმაციის" გამოყენებაზე მარკეტინგული მიზნებისთვის. ,,აბონენტი" პასუხისმგებელია იმათგანაც მიიღოს შესაბამისი თანხმობა, ვინც იყენებს მის მომსახურებას. ,,აბონენტს" უფლება აქვს ნებისმიერ დროს თქვას უარი მონაცემთა გამოყენებაზე, რისთვისაც წერილობით, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, უნდა შეატყობინოს ,,ჯეოსელს". ,,მომსახურების" უზრუნველყოფის მიზნებისთვის, „აბონენტთა მონაცემები" და გაცვლითი ინფორმაცია ,,ჯეოსელის" პარტნიორებისთვისაც ხდება ხელმისაწვდომი;

5.7. „აბონენტი" უფლებამოსილია მოსთხოვოს „ჯეოსელს" მიმდინარე საანგარიშო პერიოდის „დეტალური ანგარიში" უფასოდ, ხოლო არასაანგარიშო პერიოდის დეტალური ანგარიშის მოთხოვნის შემთხვევაში, მისი მიღება „აბონენტის" მიერ შესაძლებელია მხოლოდ „ჯეოსელის" მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად ერთჯერადი საფასურის გადახდის შემდეგ, თუ ეს სხვაგვარად არ იქნება შეთანხმებული ცალკეული დანართით;

5.8. „ჯეოსელი" ვალდებულია "აბონენტის" მოთხოვნის შემთხვევაში, "ხელშეკრულების" პირობების შესაბამისად, მიწოდებულ ანგარიშს თან დაურთოს ინფორმაცია საანგარიშო პერიოდის შესაბამისი მომსახურების სახის, ტარიფის, თარიღის, მომსახურების გაწევის დროის, დროის ხანგრძლივობის (წუთობრივად), შემომავალი და გამავალი ზარების ნომრების შესახებ;

5.9. კრედიტუნარიანობის შეფასების მიზნებისთვის, ,,ჯეოსელმა" შესაძლოა მოიპოვოს ,,აბონენტის" შესახებ არსებული ინფორმაცია სხვადასხვა რეესტრებიდან (გარდა საკუთარი სამომხმარებლო ბაზისა).

6. ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებები

6.1. "ხელშეკრულების" საფუძველზე „აბონენტს" არ გადაეცემა საავტორო ან სხვა სახის ინტელექტუალური საკუთრების უფლებები. „აბონენტს" არ აქვს უფლება გამოიყენოს, კოპირება გაუკეთოს, გადათარგმნოს ან/და შეცვალოს „მომსახურებასთან" დაკავშირებული პროგრამული უზრუნველყოფა ან ნებისმიერი სახის მასალა იმაზე მეტად, ვიდრე ეს "ჯეოსელის" მიერ წერილობით იქნება დაშვებული. გარდა ამისა, ,,აბონენტს" არ აქვს უფლება აღნიშნულ პროგრამულ უზრუნველყოფაზე ან მასალებზე გასცეს ცალკე ლიცენზია მესამე პირებზე. რაც შეეხება, თავად „მომსახურებაში" შესულ პროგრამულ უზრუნველყოფას, მასზე შესაძლოა მოქმედებდეს ცალკე სალიცენზიო ვადები და პირობები.

7. ზიანის ანაზღაურება და კომპენსირების მექანიზმი

7.1. „აბონენტი" უფლებამოსილია მოითხოვოს პირდაპირი ზიანის (ზარალის) ანაზღაურება, თუ ასეთი გამოწვეულია „ჯეოსელის" ბრალით ან დაუდევრობით ან მესამე პირის ბრალით ან დაუდევრობით, რომელზეც პასუხისმგებელია „ჯეოსელი" წინამდებარე „ხელშეკრულების" პირობების შესაბამისად. ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც „ჯეოსელისთვის" წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. ამასთან, ზიანი დადასტურებული უნდა იქნას „კანონმდებლობით" დადგენილი წესის შესაბამისად. „აბონენტი" არ ექვემდებარება არაპირდაპირ ზიანის კომპენსაციას, როგორიცაა მაგ. მიუღებელი შემოსავალი ან სხვა შედეგობრივი დანაკარგები;

7.2. „ჯეოსელი" არ არის პასუხისმგებელი ზარალზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა „აბონენტის" მიერ მონაცემთა შინაარსის ან სხვა ინფორმაციის გადაცემისას „მომსახურებით" სარგებლობის პროცესში. გარდა ამისა, „ჯეოსელი" შეუძლებელია პასუხისმგებელი იყოს ნებისმიერ ისეთ ზარალზე, რომელიც გამოწვეულია მონაცემთა ვირუსის, დაგვიანებით გადაცემის, განადგურების ან „მომხმარებლის" მონაცემების დაკარგვის შედეგად. ასევე, „აბონენტის" ბრალით „მესამე პირისათვის" ზარალის მიყენების შემთხვევებზე;

7.3. „ჯეოსელი" უფლებამოსილია მოითხოვოს ზიანის (ზარალის) ანაზღაურება, თუ იგი გამოწვეულია „აბონენტის" ან ნებისმიერი „მესამე პირის" ქმედებით, ვისზეც პასუხისმგებელია „აბონენტი";

7.4. თუ "ჯეოსელი" თავისი ბრალით ვერ უზრუნველყოფს "აბონენტისთვის" წინამდებარე „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული პირობებით "მომსახურების" გაწევას, "აბონენტი" უფლებამოსილია "ჯეოსელის" მხრიდან კომპენსაციის სახით მიიღოს თანხა მხოლოდ წინამდებარე პუნქტში აღწერილი წესის შესაბამისად. "აბონენტს" თანხა დაერიცხება მხოლოდ მისივე „სააბონენტო ნომრის" ანგარიშზე. დასარიცხი თანხის გამოთვლა მოხდება შემდეგი წესით: "ჯეოსელის" რეგისტრირებული აბონენტების მიერ "მომსახურების" ვერ მიღებამდე წინა სამ (3) კალენდარულ თვეში გახარჯული თანხის მიხედვით საშუალო დღიური დანახარჯი გამრავლებული იმ დღეების რაოდენობაზე, როდესაც აბონენტმა ვერ მიიღო "მომსახურება". ერთ დღეში იგულისხმება სრული 24 (ოცდაოთხი) საათი.

8. ხელშეკრულების ღირებულება

ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1300,00 (ერთიათას სამასი) ლარს.

9. საჩივრების წარდგენის, მათი განხილვისა და დავის გადაწყვეტის პროცედურა

8.1. „ხელშეკრულებიდან" გამომდინარე პრეტენზიები „მხარეებმა" შეიძლება ერთმანეთს წაუყენონ წერილობით ან/და ზეპირად. პრეტენზიის მიმღები „მხარე" ვალდებულია პრეტენზიის მიღებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში მთლიანად ან ნაწილობრივ დააკმაყოფილოს წამოყენებული პრეტენზია, ან წერილობით ან/და ზეპირად აცნობოს მეორე „მხარეს" მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;

8.2. "ხელშეკრულების" ირგვლივ წამოჭრილი ნებისმიერი დავა (მათ შორის, "ხელშეკრულების" არსებობასთან, ინტერპრეტაციასთან, შესრულებასთან და აღსრულებასთან დაკავშირებით) წყდება მოლაპარაკებით. დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში, "მხარეები" მიმართავენ სასამართლოს ან/და „კომისიას". ამასთან, "მხარეები" თანხმდებიან, რომ დავასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეული იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად;

8.3. როდესაც „მომსახურება" გამოიყენება „მესამე პირების" პროდუქტებისა და სერვისების შესაძენად ან/და ნებისმიერი მიზნით მათთვის რაიმე თანხის ან/და ღირებულების გადახდისათვის, ასეთი სერვისის ან/და პროდუქტების შესყიდვა ან/და თანხის/ღირებულების გადახდა რეგულირდება „მესამე პირსა" და „აბონენტს" შორის ცალკე დადებული ხელშეკრულებით. თუ „აბონენტს" წარმოეშვა პრეტენზია და სურს აღძრას საჩივარი/სასარჩელო განცხადება „მომსახურების" ამ ფორმით/მიზნით გამოყენების გამო, აღნიშნული ვერ გავრცელდება „ჯეოსელზე", ვინაიდან „მომსახურების" გამოყენება „მესამე პირის" პროდუქტის ან/და სერვისის შესაძენად ან/და თანხის/ღირებულების გადასახდელად განხორციელდა

„აბონენტსა" და „მესამე პირს" შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე და „მესამე პირის" მიერ დადგენილი პირობებით.

9. დაზიანების აღმოფხვრის პირობები

9.1. "ჯეოსელი" ვალდებულია აღმოფხვრას "მომსახურებაში" არსებული დაზიანება/ხარვეზი "რეგლამენტით" დადგენილი პირობებითა და ვადებში;

9.2. "ჯეოსელის" დაზიანების განყოფილებაში აღირიცხება "აბონენტისაგან" შემოსული ნებისმიერი წერილობითი ან ზეპირი განცხადება. განცხადებად არ ჩაითვლება "აბონენტის" განცხადება, თუ "მომსახურება" შეზღუდულია "მომსახურების" ღირებულების გადაუხდელობის გამო ან "მომსახურება" არ მიეწოდება გეგმიური პროფილაქტიკური ან სარემონტო სამუშაოების ჩატარების გამო;

9.3. დაზიანებებში არ ჩაითვლება მობილური სატელეფონო კავშირის შეწყვეტა შემდეგი მიზეზებით:

9.3.1. სასადგურო და სახაზო მეურნეობის მოწყობილობების გეგმიური შეკეთება და სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება, აგრეთვე მობილური საკომუნიკაციო ქსელის განახლება;

9.3.2. მობილური ნომრის გადართვა ერთი სისტემიდან მეორეზე, ასევე ნომრის პორტირების დროს;

9.3.3. "მომსახურების" შეზღუდვა "მომსახურების" საფასურის გადაუხდელობის გამო;

9.3.4. მობილური ქსელის გაჩერება ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის/შეფერხების გამო;

9.3.5. მობილური ქსელის გაჩერება ფორს მაჟორული გარემოებების გამო.

10. ფორს მაჟორი (დაუძლეველი ძალა)

10.1. მხარე თავისუფლდება დანაკარგების კომპენსაციის ვალდებულებისაგან ან "ხელშეკრულების" სხვა ვალდებულებების შესრულებისაგან, თუ ასეთი დანაკარგები ან ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია მხარის კონტროლს მიღმა მომხდარი გარემოებებით (ფორს მაჟორული გარემოებები), და თუ ასეთი გარემოებები აბრკოლებს, მნიშვნელოვნად აფერხებს ან იწვევს ვალდებულებების შესრულების დაგვიანებას;

10.2. ფორს მაჟორული გარემოებები ნიშნავს, მათ შორის, სახელმწიფო უწყებების მიერ მიღებულ ან შეცვლილ კანონმდებლობას, ასევე ბლოკადებს, ომს, გაფიცვებს, საბოტაჟს, ექსტრემალურ ბუნებრივ პირობებს, მეხს, ხანძარს, აფეთქებებს, წყალდიდობებს, ბუნებრივ კატასტროფებს ან ავარიებს;

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების გამო მომხდარი დაზიანებები ცალკე აღირიცხება და ის მობილური სატელეფონო ქსელის მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუარესებად არ ითვლება;

10.4. "ჯეოსელი" ვალდებულია მისი ვებ-გვერდის ან მასობრივი ინფორმაციის ნებისმიერი სხვა საშუალებით გააფრთხილოს "აბონენტი" ავარიის, აგრეთვე სხვა გაუთვალისწინებელი გარემოებების შესახებ, რაც შეუძლებელს ხდის "მომსახურების" მიწოდებას. იგი ვალდებულია აგრეთვე შეატყობინოს შეწყვეტის მიზეზისა და ხანგრძლივობის თაობაზე.

11. უფლებისა და ვალდებულებების გადაცემა მესამე პირებზე

11.1 "აბონენტი" უფლებამოსილია „მესამე პირს" გადასცეს ან გადააბაროს მასზე "ხელშეკრულებით" ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულება ან მინიჭებული უფლება მხოლოდ „ჯეოსელის" წინასწარი წერილობითი თანხმობის შემთხვევაში. „ჯეოსელის" უარი გამორიცხავს ნებისმიერი ზემოაღნიშნული ქმედების ან/და გარიგების განხორციელების შესაძლებლობას და შესაბამისად ამ წესის დარღვევით განხორციელებული ქმედება ან/და გარიგება ბათილია და არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს, გარდა "კანონმდებლობით" ცალსახად განსაზღვრული შემთხვევებისა;

11.2 11.1 პუნქტი არ გულისხმობს დათქმას, რომ „აბონენტმა" პირადად უნდა შეასრულოს ვალდებულებები და არ გამორიცხავს „ჯეოსელის" უფლებას მიიღოს მესამე პირისაგან შემოთავაზებული შესრულება, მიუხედავად იმისა თანახმაა თუ არა "აბონენტი". ამასთანავე „ჯეოსელი" უფლებამოსილია „აბონენტისათვის" მიწოდებული შეტყობინების საფუძველზე „მესამე პირს" გადასცეს მისი „ხელშეკრულებით" ნაკისრი უფლებები ან/და ვალდებულებები.

12. კომუნიკაცია მხარეებს შორის

12.1. თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული წინამდებარე „ხელშეკრულებით" "მხარეებს" შორის ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. „მხარისათვის" გათვალისწინებული წერილობითი შეტყობინება მას შეიძლება მიეწოდოს პირადად ან გაეგზავნოს კურიერის (მათ შორის, საერთაშორისო კურიერის) ან საფოსტო გზავნილის (მათ შორის დაზღვეული წერილის) საშუალებით. ოპერატიულობის მიზნით და ქვემოთ მოცემული დებულებების გათვალისწინებით, დასაშვებია მეორე „მხარისათვის" შეტყობინების მიწოდება დეპეშის, ტელექსის, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის, მოკლე ტექსტური შეტყობინების, „კომპანიის" ვებ-გვერდზე ინფორმაციის გამოქვეყნებით (www.geocell.ge) ან „ჯეოსელის" მიერ დადგენილი ნებისმიერი სხვა ოპერატიული საშუალებით, იმ პირობით, რომ მეორე „მხარის" მოთხოვნის შემთხვევაში, ამგვარი მოთხოვნიდან გონივრულ ვადაში მას წარედგინება შეტყობინება წერილობითი ფორმითაც;

12.2. შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს, თუ შეტყობინების მიღება დადასტურებულია ადრესატის მიერ (მათ შორის, ელექტრონული დოკუმენტით, ქვითრით, შეტყობინების შესაბამისი სხვა საშუალებით და ა.შ.). თუ შეტყობინების მიღება არ არის დადასტურებული ადრესატის მიერ, ნებისმიერი ასეთი შეტყობინება მიიჩნევა სათანადო წესის შესაბამისად გაგზავნილად და მიღებულად:

12.2.1. კურიერის ან დაზღვეული საფოსტო გზავნილის მეშვეობით წერილობითი შეტყობინების ან გაგზავნის შემთხვევაში – შეტყობინების შესაბამისი მხარის კანცელარიაში დარეგისტრირების მომდევნო სამუშაო დღეს;

12.2.2. ტელეფონის, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის, მოკლე ტექსტური შეტყობინების ან/და სხვა ელექტრონული საშუალებით (გარდა ვებ-გვერდზე გამოქვეყნებისა) გაგზავნის შემთხვევაში – შესაბამისი „მხარის" მიერ შესაბამისი შეტყობინების მიღების დადასტურების თარიღიდან, ან შესაბამისი ქმედების განხორციელებით შეტყობინების მიღების დადასტურების თარიღიდან. ამასთანავე, შეტყობინება გადაცემულად ითვლება თუ „ჯეოსელის" მიერ განხორციელებულია მოკლე ტექსტური შეტყობინება ან/და ზარი შედგა „აბონენტის" სარგებლობაში მყოფ სატელეფონო ნომერზე (მოკლე ტექსტური შეტყობინება ან/და სატელეფონო ზარი შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერი ნომრით, რომელსაც „ჯეოსელი" იყენებს მსგავსი მიზნებისათვის (მათ შორის, 7050, 2770100, Geocell, 7268.. ა.შ.)) და ეს დაფიქსიებულია საანგარიშო პერიოდში „კომპანიის" მიერ გაწეული „მომსახურების" დეტალურ ანგარიშში შემომავალი ზარისა და შეტყობინების გადაცემის ხანგრძლივობის (წუთობრივად) მითითებით. შეტყობინება გადაცემულად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ „აბონენტი" შეგნებულად და არაკეთილსინდისიერად უარს აცხადებს შეტყობინების მიღებაზე (წყვეტს სატელეფონო ნომრიდან განხორციელებულ ზარს შეტყობინების გადაცემის დაწყებისთანავე, არ ჩართავს ქსელში „ნომერს" 24 საათის განმავლობაში ან არ წაიკითხავს მოკლე ტექსტურ შეტყობინებას);

12.3. ვებ-გვერდზე გამოქვეყნების ან/და „ჯეოსელის" მიერ შეთავაზებული ნებისმიერი სხვა ოპერატიული საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში – გამოქვეყნების ან/და „აბონენტის" მიერ შეტყობინების მიღების დადასტურების თარიღიდან;

12.4. შეტყობინება მიღებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ შეტყობინების გამგზავნ „მხარეს" შეტყობინება დაუბრუნდება გაგზავნილ მისამართზე შეტყობინების ადრესატის ადგილსამყოფელის არარსებობის გამო, ადრესატი უარს განაცხადებს შეტყობინების მიღებაზე, ან თავს აარიდებს მის მიღებას;

12.5. "მხარეები" ურთიერთობას განახორციელებენ "ხელშეკრულებით" ან/და „მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით" განსაზღვრულ მისამართებზე (ან სხვა ნებისმიერ მისამართზე, რომელსაც ერთი „მხარე" აცნობებს მეორეს წერილობით). „მხარე" ვალდებულია აღნიშნული მისამართ(ებ)ის ან/და მათი რომელიმე მონაცემის ცვლილების შესახებ „ხელშეკრულებით" დადგენილ ვადაში აცნობოს მეორე „მხარეს", წინააღმდეგ შემთხვევაში, „მხარის" მიერ აღნიშნულ მისამართზე განხორციელებული ურთიერთობა (შეტყობინების გაგზავნა და სხვა) ჩაითვლება ჯეროვნად შესრულებულად.

13. ცვლილებები და დამატებები

13.1. „ხელშეკრულებაში" ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დაიშვება წერილობითი ფორმით „მხარეთა" შეთანხმებით;

13.2. მიუხედავად "ხელშეკრულების" 13.1. პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვისა, „ჯეოსელი" უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ შეცვალოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული „მომსახურების" და მის გაწევასთან დაკავშირებული ნებისმიერიპირობა:

13.2.1. თუ ასეთი გადაწყვეტილება აუარესებს "აბონენტის" მდგომარეობას, მაშინ ასეთი გადაწყვეტილების მიღების შესახებ „ჯეოსელი" ცვლილების ძალაში შესვლის თარიღამდე არანაკლებ 10 (ათი) სამუშაო დღით ადრე ატყობინებს "აბონენტს" "ხელშეკრულების" მე-12 მუხლით დადგენილი წესით. „აბონენტი" უფლებამოსილია შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში წერილობითი სახით უარი განაცხადოს ამგვარ ცვლილებაზე, და ასეთ შემთხვევაში ცვლილება არ შევა ძალაში, „აბონენტს" შეუწყდება „მომსახურების" მიწოდება და „აბონენტი" ვალდებულია წერილობითი უარის თარიღიდან მომდევნო 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში (ან „ჯეოსელთან" შეთანხმებულ სხვა ვადაში) დაფაროს "ხელშეკრულებით" „ჯეოსელის" წინამე არსებული დავალიანება. (ფაქტიურად მიღებული „მომსახურების" ღირებულება). იმ შემთხვევაში, თუ აბონენტი არ ისარგებლებს ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებით, ამგვარი ცვლილება ძალაში შევა „ჯეოსელის" შეტყობინებაში მითითებული თარიღიდან;

13.2.2. თუ ასეთი გადაწყვეტილება მიღებულია "აბონენტის" სასარგებლოდ, ან/და არ აუარესებს "აბონენტის" მდგომარეობას, მაშინ ასეთი გადაწყვეტილება არ საჭიროებს "აბონენტის" დამატებით თანხმობას ან აქცეპტს და ამ სახით შეცვლილი პირობები ამოქმედდება „ჯეოსელის" მიერ განსაზღვრული თარიღიდან. ამასთან, „კომპანია" ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში შეატყობინოს "აბონენტს" "ხელშეკრულების" დადგენილი წესით ან/და „ჯეოსელის" ვებ-გვერდზე www.geocell.ge), სერვის ცენტრებში ან/და სხვა მომსახურების წერტილებში შესაბამისი განცხადების განთავსებით;

13.3. „ხელშეკრულებაში" შეტანილი ცვლილებები და დამატებები წარმოადგენს "ხელშეკრულების" განუყოფელ ნაწილს.

14. ნომრის პორტირების განსაკუთრებული პირობები

14.1. „ჯეოსელის" ქსელში ნომრის პორტირებისას წინამდებარე "ხელშეკრულება" ძალაში შევა მის პირველ გვერდზე მითითებული თარიღიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ "ჯეოსელი" დონორი ოპერატორისგან მიიღებს ნომრის პორტირებაზე შესაბამის დასტურს. დონორი ოპერატორისგან პორტირებაზე უარყოფითი პასუხის მიზეზს "აბონენტი" შეიტყობს მოკლე ტექსტური შეტყობინებით, "ჯეოსელის" მიერ დონორი ოპერატორისგან უარყოფითი პასუხის მიღებიდან ათი (10) სამუშაო საათის განმავლობაში;

14.2. "აბონენტი" იხდის დონორ ოპერატორთან არსებულ დავალიანებას "ჯეოსელის" მიერ აბონენტის მოკლე ტექსტური შეტყობინებით ინფორმირებიდან არაუგვიანეს სამი (3) სამუშაო დღისა, წინააღმდეგ შემთხვევაში, პორტირებულ ნომერზეშე იზღუდება მომსახურება (თუ პორტირებიდან ორი კვირის ვადაში აბონენტი არ დაფარავს დავალიანებას), ხოლო შეზღუდვა გაუქმდება მიმღები ოპერატორის მიერ პორტირებული "აბონენტის" მიერ დონორ ოპერატორთან დავალიანების თანხის სრულად დაფარვის შემთხვევაში;

14.3. "ჯეოსელი" ყოველ კონკრეტულ აქციაში გარკვევით ასახავს აქციის ვადას და მის ყველა პირობას.

14.4. "ჯეოსელიდან" პორტირების შემთხვავაში მიმღებ ოპრატორს "ჯეოსელისგან" ეცნობება პორტირებული "აბონენტის" მიერ დავალიანების დაფარვის ვადის შესახებ, რომლის დაფარვაც "აბონენტს" შეუძლია მხოლოდ "ჯეოსელის" მომსახურების ოფისებში, ხოლო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში პორტირებულ ნომერზე მომსახურება შეიზღუდება.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის პირობები

15.1. წინამდებარე "ხელშეკრულება" ძალაში შედის მხარეთა მიერ მის ხელმოწერის დღეს და მოქმედებს 2013 წლის 31 იანვრამდე.

15.2. იმ შემთხვევაში, თუ "ხელშეკრულების" ვადის გასვლამდე ხუთი (5) დღით ადრე რომელიმე მხარემ წერილობით არ განაცხადა ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, "ხელშეკრულება"

ჩაითვლება ავტომატურად გაგრძელებულად ყოველი შემდგომი ერთწლიანი პერიოდებით. (ყოველგვარი გაუგებრობის გამოსარიცხად, ამ პუნქტით განსაზღვრულისგან განსხვავებულ წესზე მხარეები თანხმდებიან ხელშეკრულების შესაბამისი დანართით.)

15.3. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად „ხელშეკრულების" შეწყვეტის საფუძველია მხარის გარდაცვალება ან/და ლიკვიდაცია. მსგავს შემთხვევაში, „ხელშეკრულება" შეწყვეტილად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც „ჯეოსელისათვის" დადგენილი წესის დაცვით ცნობილი გახდა და მასთან წარდგენილია ინფორმაცია (ყოველგვარი გაუგებრობის გამოსარიცხად, ინფორმაცია წარდგენილად ითვლება თუ მხარის გარდაცვალებაზე ან/და ლიკვიდაციაზე წარდგენილია დოკუმენტი, რომელიც გაცემული და დადასტურებულია უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ) მხარის გარდაცვალების ან/და ლიკვიდაციის შესახებ. ასევე "ხელშეკრულების" კუთვნილი პირის წარუდგენლობა შეიძლება გახდეს "ჯეოსელის" მხრიდან „მომსახურების" შემდგომ განევაზე უარის თქმის ან/და „ხელშეკრულების" შეწყვეტის მიზეზი;

15.4. „მომსახურების" ან/და „ხელშეკრულების" შეწყვეტის შემთხვევაში „აბონენტი" ვალდებულია სრულად დაფაროს დავალიანება, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

15.5. "ხელშეკრულების" შეწყვეტის შემთხვევაში, „ჯეოსელი" უფლებამოსილია გამოიყენოს აბონენტის როუმინგის დეპოზიტზე არსებული თანხა დავალიანების დასაფარად, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

16. მხარეთა განცხადებები:

16.1. "ხელშეკრულებაზე" თავისი ხელმოწერით „აბონენტი" აცხადებს და ადასტურებს, რომ იგი გაეცნო და ეთანხმება „მომსახურების" სტანდარტულ და მის მიერ არჩეული კონკრეტული „აქციის" პირობებს;

16.2. „აბონენტი" ადასტურებს, რომ მისი სურვილის შემთხვევაში „ჯეოსელი" მას გაუწევს „მომსახურებას" (დამატებითი სერვისების მიღების უფლება) იმ პირობებით, როგორც ეს მოცემულია ელექტრონული ფორმით ვებ გვერდზე **www.geocell.ge** ან/და წერილობით - „ხელშეკრულებაში";

16.3. „აბონენტი" აცხადებს თანხმობას, რომ „ჯეოსელმა" მას ელექტრონული ფორმით მიაწოდოს ინფორმაცია ახალი მომსახურებების, სერვისების, პროექტების და სხვადასხვა სახის აქტივობების შესახებ;

16.4. „ჯეოსელი" აცხადებს რომ არ არის პასუხისმგებელი „აბონენტის" მიერ ქსელში გადაცემულ ინფორმაციაზე და „მომსახურების" ხარისხზე, თუ ხარვეზი გამოწვეულია „აბონენტის" „ტექნიკური საშუალების" გაუმართაობით, ვირუსული პრობლემებით ან/და თუ „აბონენტის" სუბიექტური მოლოდინი და მოთხოვნა აღემატება „ხელშეკრულებით" განსაზღვრულ „მომსახურების" ხარისხსა და მახასიათებლებს;

16.5. "მხარეები" ადასტურებენ, რომ "ხელშეკრულების" შინაარსი ზუსტად გამოხატავს „მხარეთა" ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა "ხელშეკრულების" შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოოდენ სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან;

16.6. ყოველგვარი ეჭვის თავიდან ასაცილებლად, „მხარეები" აცხადებენ და ადასტურებენ, რომ „ხელშეკრულებით" განსაზღვრული ნებისმიერი პირგასამტეხლოს/ჯარიმის მეორე (დამრღვევი) „მხარისათვის" დაკისრება წარმოადგენს შესაბამისი (არადამრღვევი) „მხარის" უფლებას და არა ვალდებულებას;

16.7. „ხელშეკრულებაზე" ხელმოწერით "აბონენტი" ადასტურებს, რომ „ჯეოსელი" უფლებამოსილია" მის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს „მესამე პირებს" "აბონენტის" მიერ "ხელშეკრულების" პირობების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად „ჯეოსელის" უფლებების განხორციელების მიზნით, ან/და "აბონენტის" მიერ "ხელშეკრულების" პირობების შესრულებაზე მონიტორინგის მიზნით.

17. გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი:

17.1. წინამდებარე ხელშეკრულების „მომსახურების" პირობებით, აბონენტი ყიდულობს „მომსახურებას" რაიმე „ტექნიკური მოწყობილობის" ან/და ნივთის, მათ შორის, ნომერაციის რესურსის

(ტელეფონის ნომერი), რომლის სარგებლობის უფლების მინიჭებაც ხდება აბონენტისთვის) საკუთრებაში გადაცემის გარეშე;

17.2. ნებისმიერი და ყოველი უფლება, რომელიც მიენიჭება „მხარეს" მეორე „მხარის" მიერ "ხელშეკრულების", „მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის" ან/და „კანონმდებლობის" სრულად ან ნაწილობრივ დარღვევის შედეგად, კრებითია და დაემატება "ხელშეკრულებით", „მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით" ან/და "კანონმდებლობით" მინიჭებულ ყველა სხვა უფლებას;

17.3. ერთ-ერთი „მხარის" მხრიდან "ხელშეკრულების" ან/და „კანონმდებლობის" სრულად ან ნაწილობრივ დარღვევასთან დაკავშირებით მეორე „მხარის" მიერ მისთვის მინიჭებული უფლებების გამოუყენებლობა არ გავრცელდება "ხელშეკრულების" ან/და „კანონმდებლობის" ნებისმიერ შემდგომ დარღვევაზე;

17.4. „ხელშეკრულება" მისი ვალდებულებებითა და უფლებებით ვრცელდება და სავალდებულოა „მხარეთა" უფლებამონაცვლეების/სამართალმემკვიდრეებისათვის;

17.5. "ხელშეკრულების" რომელიმე მუხლის, პუნქტის ან/და ქვეპუნქტის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად "ხელშეკრულების" ან/და მისი სხვა მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად, გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა "ხელშეკრულებით" (მათ შორის ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი;

17.6. "ხელშეკრულების" მუხლები, პუნქტები ან/და ქვეპუნქტები დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს "ხელშეკრულების" ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება;

17.7. „ხელშეკრულებაში" მხოლობით რიცხვში გამოყენებული სიტყვები გულისხმობს მრავლობითს და პირიქით;

17.8. „ხელშეკრულება" შედგენილია ქართულ ენაზე, „აბონენტი" ხელშეკრულებაში მისი ხელმოწერისათვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილას გაკეთებული ხელმოწერით ადასტურებს, რომ იგი სრულად იცნობს და ეთანხმება როგორც „ხელშეკრულების", ასევე მისი დანართ(ებ)ის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ყველა პირობას. "ხელშეკრულების" თანაბარი იურიდიული ძალის მქონე თითო იდენტური ეგზემპლარი გადაეცემათ "მხარეებს".

„ჯეოსელის" სახელით:

ჯეოსელი — Geocell LLC
203841940

პასი კოისტინენ
გენერალური დირექტორი

„აბონენტის" სახელით:

ზაზა აბულაძე
ადმინისტრაციის ხელმძღვანელის
მოვალების შემსრულებელი

ჯეოსელი

„ჯეოსელის“ მობილურისატელეფონომომსახურების

მიწოდებისშესახებ ხელშეკრულების

დანართი 1

(მობილური სატელეფონო მომსახურების შესახებ

კორპორაციული აბონენტებისათვის)

წინამდებარე დანართის გაფორმების საფუძველს წარმოადგენს მხარეთა სურვილი განსაზღვრონ მომსახურების გაწევის ინდივიდუალური პირობები

მხარეები და მათი რეკვიზიტები:

მომსახურების მიმწოდებელი: შპს "ჯეოსელი" (შემდგომში ჯეოსელი)

საიდენტიფიკაციო კოდი: 203841940
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, გოთუას ქ.3, 0160, საქართველო
ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირი: პასი კოისტინენ (გენერალური დირექტორი)
ელ-ფოსტა: corporate@geocell.ge; key@geocell.ge
ფაქსი: +99532 277 01 19
ტელ: +99532 277 01 00

საბანკო რეკვიზიტები:
მომსახურე ბანკი: სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“
ბანკის კოდი: UGEBGE22
ანგარიშის ნომერი: GE64VT6600000444467944

და

აბონენტი: ააიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში აბონენტი)
საიდენტიკიფაციო კოდი: 203 851 028
იურიდული მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. N19
ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირი: ზაზა აბულაძე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი
ელ-ფოსტა: z_abuladze@yahoo.com
ტელ: 2 98 30 79

საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: 220 101 222
ანგარიშის ნომერი: 200122900

ნებისთავისუფალიგამოვლენისსაფუძველზედებენწინამდებარედანართს (შემდგომშიდანართი) შემდეგზე:

1. ჯეოსელი გადასცემს/გაუაქტიურებს აბონენტს საავანსო ან/და საკრედიტო სისტემის სიმ-ბარათებს და უზრუნველყოფს მომსახურების გაწევას, ხოლო აბონენტი კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს მიღებული მომსახურების საფასური;
2. მომსახურების ჩამონათვალი და შესაბამისი ტარიფების ნუსხა განსაზღვრულია #2 დანართში;
3. აბონენტს გადაეცემა/გაუაქტიურდება მობილური სატელეფონო ნომრები, რომელთა რაოდენობა და ჩამონათვალი მოცემულია #3 დანართშიან/და აბონენტის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე „ჯეოსელის" საბილინგო სისტემაში აღირიცხება აბონენტის სახელზე;
4. აბონენტის მიერ მომსახურებისათვის ანგარიშსწორება მოხდება საანგარიშო პერიოდზე ჯეოსელის მიერ შედგენილი ანგარიშ-ფაქტურის და დეტალური ანგარიშის მიხედვით;
5. აბონენტი ჯეოსელთან ანგარიშსწორებას მოახდენს მეოთხე პუნქტში აღნიშნული დოკუმენტაციის მიღებიდან თხუთმეტი (15) საბანკო დღის განმავლობაში;
6. აბონენტი ადასტურებს იმ გარემოებას, რომ მომსახურების ტარიფები დამოკიდებულია მის მიერ არჩეული მომსახურების მოცულობაზე, მათ შორის, „ჯეოსელის" ქსელში გააქიურებული/გასააქტიურებელი ნომრების რაოდენობაზე. შესაბამისად, მომსახურების მოცულობის (ნომრების რაოდენობის შემცირება) ცვლილება წარმოადგენს მომსახურების პირობების გადასინჯვის საფუძველს;
7. აბონენტის მოთხოვნის საფუძველზე, #3 დანართში მოცემულ ნომრებს შესაძლებელია დაემატოს ახალი ნომერი/ნომრები. ასეთ შემთხვევაში, აბონენტი ვალდებულია ნომრის დამატების თარიღის მიუხედავად ყოველ ასეთ ნომერზეგადაუხადოს ჯეოსელს #2 დანართში ნომერზე განსაზღვრული ყოველთვიური ფიქსირებული გადასახადი (VPN);
8. აბონენტს უფლება აქვს (თუ მას დროებით არ სჭირდება #3 დანართში განსაზღვრული ნომრებიდან რომელიმე) მოითხოვოს სატელეფონო ნომრის გაუქმება/ჩაბარება.
9. აბონენტი კისრულობს ვალდებულებას სამი(3) სამუშაო დღით ადრე შეატყობინოს ჯეოსელს ნომრის გაუქმების/ჩაბარების შესახებ.
10. მხარეთა შეთანხმებით, ნომრის გაუქმების/ჩაბარების და #3 დანართში ნომრის დამატების შესახებ შეტყობინება ხორციელდება მათ შორის ელექტრონულად, კერძოდ, შეტყობინება გადაცემულად ითვლება თუ იგი განხორციელებულია აბონენტის ელ. ფოსტის მეშვეობით ჯეოსელის შემდეგ ელ. ფოსტის მისამართზე corporate@geocell.ge; key@geocell.geან/და გაიგზავნა ჯეოსელის ფაქსზე ან იურიდიულ მისამართზე დაზღვეული ფოსტით.
11. თუ აბონენტის მიერ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში გაუქმებული სატელეფონო ნომრების რაოდენობა გახდებაან/და გადააჭარბებს#3 დანართში განსაზღვრული ან/და საბილინგო სისტემაში აბონენტის სახელზე რეგისტრირებული ნომრების 40%-ს, ეს განხილული იქნება აბონენტის მოთხოვნად ვადაზე ადრე შეწყვიტოს ხელშეკრულება და ჯეოსელი მსგავს შემთხვევაში უფლებამოსილია დადგენილი წესის შესაბამისად შეწყვიტოს მომსახურების მიწოდება;

12. აბონენტი უფლებამოსილია წერილობით 30 (ოცდაათი) დღით ადრე შეატყობინოს „ჯეოსელს“ ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ. ყოველგვარი გაუგებრობის გამოსარიცხად, ხელშეკრულება შეწყვეტილად ჩაითვლება აბონენტის მიერ „ჯეოსელისათვის“ შეტყობინების დადგენილი წესით ჩაბარების მომდევნო დღიდან 30-ე (ოცდამეათე)დღეს. ყოველგვარი გაუგებრობის გამოსარიცხად, აღნიშნული პუნქტით გათვალისწინებული აბონენტის ვალდებულება ვრცელდება მეთერთმეტე პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაზეც.
13. აბონენტის მიერ ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, ჯეოსელი უფლებამოსილია მას ჯარიმის სახით დააკისროს თანხა, ხელშეკრულებით მიწოდებული მთლიანი მომსახურების საფასურის საშუალო თვიური მაჩვენებლის 20%-ის ოდენობით;
14. დანართზე ხელმოწერით აბონენტი ადასტურებს, რომ იგი იცნობს და ეთანხმება „ჯეოსელის“ მობილური სატელეფონო მომსახურების მიწოდების შესახებ ხელშეკრულების პირობებს;
15. მხარეთა შეთანხმებით, თუ არსებობს წინააღმდეგობა მობილური სატელეფონო მომსახურების მიწოდების შესახებ ხელშეკრულებასა და დანართის პირობებს შორის, უპირატესობა ენიჭება დანართში მოცემულ პირობებს;
16. დანართიშედგენილიაქართულენაზე. დანართის თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორითო იდენტური ეგზემპლარი გადაეცემათ "მხარეებს".

მხარეთა ხელმოწერები

შპს „ჯეოსელის“ სახელით:

_____

პასი კოისტინენ

გენერალური დირექტორი

აბონენტის სახელით:

_____

ზაზა აბულაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის

მოვალეობის შემსრულებელი

დანართი № 2
სერვისები და ტარიფები

№	VPN პაკეტში შემავალი სერვისები	ტარიფები
1	ნომერზე პაკეტით (VPN) სარგებლობის ყოველთვიური ფიქსირებული გადასახადი	4.8
2	ზარი აბონენტის VPN ჯგუფში შემავალ ნომრებზე	0
3	ზარი აბონენტის/აბონენტების დახურულ ჯგუფში შემავალ ნომრებზე [1]	0
4	ზარი სხვა ადგილობრივი მობილური ოპერატორის აბონენტთან, ერთი წუთი	0.24
5	ზარი ადგილობრივი ფიქსირებული ქსელების აბონენტებთან, ერთი წუთი	0.24
4	ზარი ჯეოსელზე და ლაი-ლაიზე, ერთი წუთი	0.12
7	სიმ-ბარათი	0
8	ორნომრიანი სიმ-ბარათი	0
9	სიმ-ბარათის შეცვლა	0
10	მოკლე ტექსტური შეტყობინება (SMS) [2]	0.06
11	მოკლე ტექსტური შეტყობინება (SMS) აბონენტის დახურულ ჯგუფში შემავალ ნომრებზე	0.02
12	მულტიმედიური შეტყობინების (MMS) სერვისის აქტივაცია	0
13	მულტიმედიური შეტყობინება (MMS) [2]	0.15
14	როუმინგის დეპოზიტი	0
15	როუმინგის აქტივაცია (Thuraya-ს ჩათვლით)	0
16	როუმინგის შემომავალი ზარი, 1 წუთი [3]	1.00
17	საერთაშორისო ზარი (დეტალური ინფორმაცია ქვეყნების მიხედვით იხილეთ www.geocell.ge) [4]	0.70-0.90-1.91
18	ნომრის გადაფორმება კერძო პირიდან ორგანიზაციაზე	0
19	ნომრის გადაფორმება ორგანიზაციიდან კერძო პირზე	0
20	WAP სერვისის აქტივაცია	0
21	მობილური ინტერნეტის სერვისის აქტივაცია (GPRS/HSPA, მათ შორის GPRS როუმინგის)	0
22	მობილური ინტერნეტის (GPRS/HSPA) 1 მეგაბაიტი [5] [6]	0.70
23	დაფარული ნომრის სერვისის აქტივაცია	0
24	ნომრის ამომცნობის სერვისის აქტივაცია	130
25	გამოტოვებული ზარის შეტყობინების აქტივაცია	0
26	ნომრის ბალანსის შემოწმება (ზარი 7050, 705011 ან *120#OK კომბინაციის აკრეფით)	0
27	ხმოვანი ფოსტის სერვისით სარგებლობა	0
28	ანგარიშის დეტალური ამონაბეჭდი [7]	0
29	ვიდეო ზარის და მობილური ტელევიზიის სერვისის აქტივაცია	0
30	ვიდეო ზარის ერთი წუთი [8]	0.24
31	მობილური ტელევიზიის ერთი წუთი [8]	0.10
32	GEOCELL მენიუს აქტივაცია	0

შენიშვნა:

(1) დახურულ ჯგუფში მედიან „ჯეოსელის" მიერ აბონენტისათვის სარგებლობაში გადაცემული ან/და წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გააქტიურებული ნომრები. ცალკეულ შემთხვევებში, დახურულ ჯგუფში შესაძლებელია გაერთიანებული იყვნენ ის აბონენტები, რომლებთანაც არსებობს შესაბამისი შეთანხმება/ხელშეკრულება. აღნიშნული ჯგუფი ან/და ამ ჯგუფში შემავალი აბონენტები პერიოდულად ექვემდებარებიან განახლებას/ცვლილებას. დახურულ ჯგუფში შემავალი ნომრების ან/და აბონენტების შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია „ჯეოსელის" უფლებამოსილ პირთან;

(2) გარდა სართაშორისო მიმართულებისა;

(3) გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საზღვარგარეთის ოპერატორი ასევე აწესებს ტარიფს როუმინგის შემომავალ ზარზე;

(4) 40%-იანი ფასდაკლება ყველა მიმართულების საერთაშორისო ზარზე;

(5) გარდა GPRS როუმინგისა;

(6) დამრგვალება 10 კილობაიტი;

(7) გაიცემა მხოლოდ აბონენტის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე;

(8) ტელეფონი/ტერმინალი უნდა იყოს 3G (HSPA) თავსებადი;

„ჯეოსელი" აცხადებს, რომ:

ა) ზარის დამრგვალება ხორციელდება წამობრივი სიზუსტით;
ბ) ტარიფი მოცემულია ლარში, ყველა გადასახადის ჩათვლით;
გ) დანართში მოცემული სერვისების აქტივაცია ხორციელდება აბონენტის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე (გარდა ადგილობრივი სატელეფონო ზარის, მოკლე ტექსტური შეტყობინების და გამოტოვებული ზარების შესახებ შეტყობინების სერვისებისა);
დ) თუ აბონენტის ნომერზე/ნომრებზე დანართში მითითებული სერვისების გააქტიურება განხორციელდება ზემოთ აღნიშნულ (გ) პუნქტში გათვალისწინებული წესის დაუცველად, აბონენტის ნომერზე/ნომრებზე სერვის(ებ)ით სარგებლობა განხორციელდება „ჯეოსელის" სტანდარტული ტარიფებითა და პირობებით, რომელიც ცნობილია აბონენტისათვის და ამავდროულად ხელმისაწვდომია „ჯეოსელის" ვებ გვერდზე (www.geocell.ge) და სერვის ცენტრებში;
ე) თუ აბონენტის ნომერზე/ნომრებზე განხორციელდება დანართში გაუთვალისწინებელი სერვისების გააქტიურება, აბონენტის ნომერზე/ნომრებზე სერვის(ებ)ით სარგებლობისას იმოქმედებს „ჯეოსელის" სტანდარტული პირობები და ტარიფები, რომელიც ცნობილია აბონენტისათვის და ამავდროულად ხელმისაწვდომია „ჯეოსელის" ვებ გვერდზე (www.geocell.ge) და სერვის ცენტრებში;
ვ) VPN პაკეტში შემავალ ნომრებზე (ნომრის ხალანსზე თანხის არარსებობის მიუხედავად) ამავე VPN პაკეტში შემავალ სხვა ნომრებთან დასაკავშირებლად მომსახურების შეზღუდვის წესი არ გავრცელდება.

ბონუს პაკეტი:

ყველა ნომერს ყოველთვიურად ერიცხება უფასო - 40მგ GPRS ტრაფიკი, 30 წუთი ვიდეოზარი და 30 წუთი მობილური ტელევიზია.

„ჯეოსელის" სახელით:

Geocell LLC
203841940

პასი კოისტინენ
გენერალური დირექტორი

„აბონენტის" სახელით:

RUSTAVELI THEATRE AND FILM GEORGIA

ზაზა აბულაძე
ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეების
შემსრულებელი

ჯეოსელი

დანართი № 3
ნომრების ჩამონათვალი

1	995577288717	44	995577288771	87	995577288716	130	995577947038
2	995577288718	45	995577947047	88	995577288726	131	995577288755
3	995577947002	46	995577288772	89	995577947003	132	995577947039
4	995577288719	47	995577947048	90	995577947004	133	995577288757
5	995577947055	48	995577947049	91	995577947005	134	995577288759
6	995577288720	49	995577288773	92	995577947009	135	995577288761
7	995577288721	50	995577947050	93	995577947011	136	995577288762
8	995577947010	51	995577288774	94	995577947012	137	995577288763
9	995577947021	52	995577947051	95	995577947014	138	995577288769
10	995577947025	53	995577288775	96	995577947017	139	995577947045
11	995577947028	54	995577947053	97	995577947018	140	995577947046
12	995577288793	55	995577288792	98	995577947019	141	995577288780
13	995577288797	56	995577947026	99	995577947020	142	995577288781
14	995577288725	57	995577288704	100	995577947022	143	995577288782
15	995577288753	58	995577288700	101	995577947023	144	995577288784
16	995577288760	59	995577288701	102	995577947024	145	995577288785
17	995577288765	60	995577288702	103	995577288738	146	995577288778
18	995577288768	61	995577947090	104	995577288739	147	995577288787
19	995577288794	62	995577120077	105	995577288740	148	995577947007
20	995577288710	63	995577644040	106	995577947027	149	995577288747
21	995577288711	64	995577288756	107	995577288741	150	995577288714
22	995577288796	65	995577288734	108	995577288742	151	995577288715
23	995577288713	66	995577900930	109	995577947029	152	995577947065
24	995577288706	67	995577947013	110	995577288743	153	995577947068
25	995577288707	68	995577947059	111	995577947030	154	995577947069
26	995577288708	69	995577947062	112	995577947031	155	995577947071
27	995577288709	70	995577947063	113	995577288744	156	995577947072
28	995577288729	71	995577288727	114	995577947032	157	995577947073
29	995577288750	72	995577288731	115	995577288745	158	995577947074
30	995577947075	73	995577288732	116	995577495025	159	995577947080
31	995599944700	74	995577288735	117	995577497558	160	995577947084
32	995577947066	75	995577288736	118	995577727030	161	995577947094
33	995577947095	76	995577288737	119	995577483888	162	995577947076
34	995577288730	77	995577449125	120	995577710243	163	995577288703
35	995577947077	78	995577789178	121	995577779494	164	995599949072
36	995577947079	79	995577947008	122	995577541777	165	995577947056
37	995577288705	80	995577288764	123	995577288786	166	995577288754
38	995577288798	81	995577288766	124	995577288788	167	995577288779
39	995577947033	82	995577288767	125	995577288789	168	995577947064
40	995577288746	83	995577947043	126	995577288791	169	995577947037
41	995577947034	84	995577947044	127	995577288770	170	995577288777
42	995577947035	85	995577288776	128	995577288783	171	995577947060
43	995577947036	86	995577947054	129	995577288790		

„ჯეოსელის" სახელით:

„აბონენტის" სახელით: